ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ეპოქა

№ 19

1920 წ.
მარტის 28

ბათომი და საქართველო.

დედა (დაპატიმრებულ შვილს). მე მესმის, შვილო, შენი ხმა და ვგრძნობ შენს ტანჯვას... შენ ... დარაჯები ამ ერთი ლუკმის მიწოდებ... აც არ ანებებენ დედას შვილისთვის, მაგრამ მაგათ არ იციან, რომ დედის გული ... გულზე მამაცია და თუ შვილისკენ გა-ეწია ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლო გაკვეთილი.

... ჩვენ გავანადგურეთ კოლჩაკის დაქირავებული ბრბოები. შევუსრეთ მეფის გენერალი დენიკინი და მისი ჯარი. გავდევნეთ იუდენიჩი, მოვსპეთ რუსეთში კონტრ-რევოლიუციის ხსენება. ყველა მტრები დავამარცხეთ... დაგვრჩა ერთად ერთი ძლიერი მტერი—მკბენარი!..

(კომუნისტების მოწოდებიდან)

რალაც საოცრება იყო ლენინის სიტყვა.. არასოდეს არ მიუღწევია მკვერმეტყველების ამ სიმაღლემდე. მისი ხმა ჰქუხდა და გრგვინავდა; ურიცხვი აუდიტორია სულ-განაბული უსმენდა ორატორს: ყველას გული ერთი გრძნობით ჰფეთქავდა, ყველას გონება ერთ აზრს შეეპყრო...-ამხანაგებო!—ამბობდა ლენინი: „ჩვენ გავიკაფეთ გზა სოციალიზმისაკენ და მივადექით აღთქმული ქვეყნის აღსავლის კარებს. ერთი ნაბიჯი კიდევ და ეს კარები გაიღება, შევალთ შიგ და ვეზიარებით სოციალიზმის ცხოველმყოფელ წყაროს. მაგრამ, ამხანაგებო, შეჰხედეთ აგერ! ეს ვინ ატუზულა აღსავლის კარის წინ? ვინ უღობავს გზას და უხშობს შესავალს ძლევა-მოსილ მუშათა და გლეხთა ჯარს? ვინ არის ეს თავხედი და უტიფარი? იქნება, ეს არის საერთაშორისო იმპერალიზმის მორჩილი ავაზაკი? არა, ამხანაგებო! იგი ჩვენ საბოლოოთ დავამარცხეთ. ან იქნება, სისხლის მსმელ მეფის ყურმოჭრილი ყმა დენიკინი გგონიათ! სცდებით! დენიკინის ნასახიც წავშალეთ რუსეთში! ან კიდევ მოღალატე მენშევიკებისა და ესერების აგენტია? არადა არა! მათი სინსილა გავწყვიტეთ ყველგან! ეს არის უკანასკნელი, მაგრამ ყველაზე ძლიერი მტერი ჩვენი დიადი საქმისა—მკბენარი! მკბენარი—აი ერთად ერთი ძალა, ჩვენ რომ სოციალიზმის განხორციელებას გვიშლის ამ ჟამად! ამხანაგებო! დღეს მთელმა ქვეყანამ იცის როგორ გვეზიზღება ჩვენ ომი და სისხლის ღვრა! ჩვენი იარაღია ნათელი იდეა და წმინდა პრინციპები! ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა ვცადოთ ამ იარაღთა სიძლიერე და ყოველივე ღონე ვიღონოთ შეგნების შუქი მოვფინოთ მკბენართა უვიცსა და შეუგნებელ გონებას... ჩვენ მათ დავარწმუნებთ, რომ არა გვსურს მათ წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლა ვაწარმოოთ, ხოლო უკეთუ ისინი არ შესწყვეტენ თავდასხმასა და სისხლის ღვრას, ბრძოლაში გამოწრთობილი ჩვენი წითელი არმია შესძლებს მათ მოგერებასა და ალაგმვას!“.. ასე ლაპარაკობდა ლენინი და აღფრთოვანებული ნარკომები და უთვალავი ხალხი ფიცსა სდებდენ კომუნისტების საშინელი მტრის—მკბენარის შემ[illegible]ისათვის, უკეთუ ისინი გონს არ მოვიდოდნენ და ხელს არ აიღებდნენ კომუნისტებთან ბრძოლაზე. ერ[illegible] გადაწყვეტილების თანახმად ჩიჩერინმა დაამზადა საუცოო[illegible]ნოტა მკბენარებთან და გაუგზავნა ამ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკბენარებმა მიიღეს ჩეჩირინის ნოტა.

„... (**დასაწყისი დამახინჯებული იყო**) აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ მზათა ვართ დავაკმაყოფილოთ ყველა თქვენი სამართლიანი მოთხოვნა. თქვენ კირგათ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ არავის ვუშლით დამოუკიდებელათ ცხოვრებას: შვეიცარია, არგენტინა, ახალი ზელანდია არავითარ შევიწროებას არ განიცდიან ჩვენგან. სახალხო კომისარია საბჭო სიამოვნებით დაამყარებს თქვენთან კეთილ მეზობლურ განწყობილებას და მზად არის ეხლავე შეიყვანოს მთავრობაში ერთი მკბენარი იმ პირობით, თუ თქვენ სამუდამოთ აღიკვეთთ ჩვენზე თავდასხმასა და ჩვენთან ბრძოლას.“

ამ ნოტამ საუცხოვო გუნებაზე დააყენა მკბენარები... ყოველი სიტყვა ხარხარს იწვევდა და საპასუხო ნოტაც მოკლეს, მაგრამ მრავალმეტყველი იყო:

— „ხა—ხა—ხა—ხა!“

დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა საბჭოთა რუსეთსა და მკბენართა შორის.



გაჩაღდა დაუზოგავი ომი. სამხედრო მინისტრი ტროცკი არწივივით დაჰქროდა მკბენართა ფრონტებზე და სცდილობდა წითელი ჯარის მქუხარე სიტყვებით ათრია. კანებასა და გაცხნევებას მაგრამ ვერაფერს ხდებოდა: საკმაო [illegible] მკბენარის გამ[illegible] და მთელი დივიზია თოფ-იარაღს ჰყრიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შიშის ზარით შეპყრობილი უკან მოუხედავათ გარბოდა. ფრონტებზე გავრცელდა საარაკო დეზერტირობა და ღალატი: მთელი ბათალიონები და პოლკები გადადიოდენ მკბენარის მხარებზე და მორჩილებას უცხადებდენ მტერს. წრე თანდათან ვიწროვდებოდა და ბოლოს ძლევამოსილმა მკბენარმა ალყა შემოარტყა მოსკოვის კრემლს, სადაც უმწეოსა და ილაჯ-გაწყვეტილ სოვნარკომს უკანასკნელი თავშესაფარი ეშოვა. ალყა-შემორტყმულები დაეცენ სულით და გადასწყვიტეს მორჩილება გამოეცხადებიათ გამარჯვებულ მტრისათვის. ლენინი ამბობდა: „ამხანაგებო! ,ჩვენი გზა სწორია, ჩვენი მიზანი ნათელია! მაგრამ თვალი არ უნდა დავიბრმავოთ გავლილ შეცდომათა წინაშე: ჩვენი შეცდომა კი ის იყო, რომ საქმე უკულმა დავიწყეთ: მის მაგიერ, რომ ჯერ მკბენარი მოგვესპო და შემდეგ სოციალიზმი დაგვემყარებია, ჩვენ ჯერ სოციალიზმი დავამყარეთ და შემდეგ ავმხედრდით მკბენარის წინააღმდეგ! მართალია, ეხლა ცდამ ფუჭად ჩაგვიარა, მაგრამ გამოცდილება მაინც დაგვრჩა: ამიერიდან გვიცოდინება, რომ კომუნისტ-ბოლშევიკების რევოლიუცია უპირველეს ყოვლისა მკბენართა ძალაუფლების დასამხობათ უნდა იყოს მიმართული!“



და მკბენარს დანებდა მთელი წითელი სოვნარკომი: ტახტრევანით შემოიყვანეს მხარ-თეძოზე წამოწოლილი მკბენარი კრემლში. სამრეკლოებზე გაუნელებელი ზარის რეკა ისმოდა; მთელი მოსკოვი გუგუნებდა სხვა და სხვა კილოს ზარების ხმისაგან. ლენინი კი გულში იმეორებდა: „ჰეშმარიტად, კარგი გაკვეთილი იყო ეს ჩვენი სოციალისტური რევოლიუცია: მეორეჯერ ასეთი შეცდომა აღარ მოგვივა. მკბენარიანი სოციალიზმი დიდხანს ვერ იბოგინებს...“

ქვორუმი.

ძვირფასო მკითხველო! შენ იცი ჩემი ხასიათის სიმტკიცე და იმედი მაქვს ამ ნაკლს ქვორუმის საქმეშიაც მაპატიებ.

— სად ქართველი კაცი, სად ხასიათის სიმტკიცეო.—იტყვი შენ სრულიად სამართლიანად, მაგრამ—თითო მახინჯი ყველა ოჯახსა ჰყავს, მოგახსენებ მე არა ნაკლების საფუძვლიანობით.

როცა მე ქვორუმი ე. ი. ბ-ნი ვეშაპელი, აღმოვაჩინე, სიხარულით მეცხრე ცას ვეწიე და მისი ვინაობის გამორკვევა ეგრედ წოდებულ „დღიურ წესრიგში“ დავისვი.

საქმის გადადება არ მიყვარს, მისი [illegible]ოგრაფია პირველ დღესვე გამოვარკვიე.

ბ-ნი ქვორუმი, ე. ი. გრიგოლ ვეშაპელი სრულიადაც არ ყოფილა იმ გვარისა, რომელსაც იგი საქვეყნოდ [illegible]ატარებს. საბოლოოთ და ყოველივე ეჭვს გარეშე დამტკიცდა, რომ მამა ბ-ნი ქვორუმ-ვეშაპელისა გვარად ვეშაპიძეა და ვინაიდან ჩვენს რესპუბლიკაში დღესაც ძველი წესები არსებობს მემკვიდრეობის შესახებ, ცხადია, გვარი ბ-ნი გრიგოლისა ვეშაპიძე უნდა იყოს. რამ გამოიწვია მისი გავეშაპელება ჯერ-ჯერობით ვერ გამოვარკვიე. ისე კი ვფიქრობ, რომ მან იუკადრისა ვეშაპიძეობა და გვარი ცოტა [illegible] სილამაზე. სილამაზის წინააღმდეგ სადაო არაფერი [illegible]

მართალია, სულმნათმა [illegible]ბრძანა: „თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო“, მაგრამ [illegible] სილამაზეზე სრულიადაც არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი. მე კი, როგორც კანონის მიმდევარი მოქალაქე, ვიდრე ბ-ნი ქვორუმი თავის ახალ გვარს დამფუძნებელი კრების საშუალებით არ დაიმტკიცებს, მას კვალად გრიგოლ ვეშაპიძეთ მოვიხსენიებ.

ჰოდა აი იმ განზრახვით, რომ კარგათ გამეგო ავან-ჩავანი ჩემი ახლად აღმოჩენილი ქვორუმისა, რომ გამეგო თუ სად ატარებს ის დროს, როცა კრებები უქვორუმოთ რჩებიან, ავდექი და დაუწყე უკან დევნა.

როდესაც ბ-ნი გრიგოლ ვეშაპიძე, ანუ უკეთ ვსთქვათ ჩვენი ქვორუმი ზემელის აფთიაქთან ტრამვაის ვაგონს მოახტა, მეც ფეხ-აკრეფით უკან ავყევი და ორი საათის შემდეგ მასთან ერთად ჩამოვხტი სადგურის დასწვრივ ჯიბგირების მოედანზე. ვეშაპიძე სადგურში შევიდა და რიგორც შევატყვე სადღაც გაპარვას აპირებდა. მეც, რასაკვირველია, აჩრდილივით ავედევნე.

მეორე კლასის დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. ალბათ არ იცოდენ რომ ბ-ნი ქვორუმი დღეს აქ მოვიდოდა. კასის წინ მთელი რიგი წამსვლელებისა რიგში იდგა და თავის დროს მოელოდა.

ბ-ნი ქვორუმი—ვეშაპიძე კარგა ხანს არხეინათ დადიოდა დარბაზში, შემდეგ შეაღო კასის კარები და შიგ შევიდა. მეც თან შეყოლა გადავსწყვიტე, ვინაიდან მეშინოდა კასის გამგე ქალს ქვორუმისათვის რაიმე შეურაცხყოფა არ მიეყენებია, მაგრამ უმალვე შემაჩერეს, გზა მომიჭრეს. მე მხოლოდ მაყურებელი გავხდი იმ სცენისა, რომელიც ბ-ნი ქვორუმის კასაში შეჭრამ გამოიწვია და დახმარების აღმოჩენის საშუალებაც კი არა მქონდა.

ქ-ნი ბერცოვა. (კასირშა) მოწყალეო ხელმწიფევ, გარეშე კაცს არა აქვს კასაში შემოსვლის უფლება, ნუ თუ თქვენ ეს არ იცით.

ბ-ნი გრიგოლ ვეშაპიძე (ქვორუმი) თქვენც უნდა იცოდეთ, ქ-ნო, რომ მე გარეშე არა ვარ, არამედ საზოგადო.

ქ-ნი ბერცოვა. მე თქვენ გთხოვთ გაბრძანდეთ კასიდან.

ბ-ნი გრიგოლ ქვორუმაძე. მე თქვენ გიბრძანებთ ბათუმის ბილეთი მომცეთ.

ქ-ნი ბერცოვა. კანონი ნებას არ მაძლევს, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი ბრძანება შევასრულო. გთხოვთ, გაბრძანდეთ.

ბ-ნი ქვორუმი. ეს კანონები, ნუ თუ არ იცით ძველი მთავრობის შეთითხნილია და მე ჯერ დამფუძნებელ კრებაში არ გამომიცია ამის შესახებ არავითარი კანონები.

ქ-ნი ბერცოვა. ბატონო ჩემო, ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს და როცა ახალს დაგვიწერთ, მაშინ ახალი კანონით ვიმოქმედებთ. ახლა გთხოვთ, კასიდგან გაბრძანდეთ.

ბ-ნი ვეშაპიძე. როგორ თუ გავიდე, მე ეხლავ რევიზიას მოვახდენ თქვენს კასაში, თქვენ მე ვინა გგონიკართ?!.

ქ-ნი ბერცოვა. ბატონო ვინც გნებავსთ ის იყავით. მე არ შემიძლია აქ ბილეთი მოგცეთ. იმდენი ხალხი რიგში სდგას და რას იტყვის.

ბ-ნი ვეშაპიძე. მე დამფუძნებელი კრების წევრი ვარ... მე არავისი არ მეშინია... ეს ხალხიც ფეხებზე მკიდია. გიბრძანებთ, დაუყონებლივ ბილეთი მომცეთ.

ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა.

— ნეტავ ვინ არის, ასეთი ღონიერი რომ ყოფილა...

— ალბათ ინგლისელი იქნება...

— არა, ეს უთუოდ გადაცმული რევიზორი იქნება...

გაისმოდა ერთი მეორეს საწინააღმდეგო აზრი აქეთ-იქიდან და მე გუნებაში სიცილით ვკვდებოდი. სიცილით იმიტომ ვკვდებოდი, რომ ამდენ ხალხში მარტო მე ვიცოდი თუ ვინ გაბედავდა ასე თავხედურათ შეჭრას კასაში და ასე გაბედულათ ხალხზე ლაპარაკს. მე ვიცოდი, რომ თუ არ ქვორუმი, ამას სხვა ვერავინ გაბედავდა, ან ვის შერჩებოდა ასეთი ამბები. ეს რომ ვინმე უბრალო მომაკვდავს ექნა, მაშინვე დაიჭერდენ და თუ დაჭერას ვერ მოუხერხებდენ, გაზეთებში მაინც ჩააგდებდენ. ქვორუმს კი ვინ რას გაუბედავს, ან გაზეთში ვინ გაუწერს ამბავს.

მატარებელი წავიდა და გრიგოლ ვეშაპიძეც თვალს მიეფარა. მე სახლში დავბრუნდი. დაჯდომაც ვერ მოვასწარ, რომ ელსმენის წკრიალი მომესმა, ყურმილს ხელი დავსტაცე და სმენად გადავიქეცი.

— ვინა ხარ?

— ვერ მიცანი, კაცო? ბიჭო, რა დროს სახლში ჯდომაა, შე ოხერო, როცა აქ ასეთი კრებაა გაჩაღებული.

— რა კრება, კაცო?

— დამფუძნებელი კრების.

— როგორ? ქვორუმი?

— ქვორუმიც არის და მეტიც. ახლა ისეთი საინტერესო საგანია...

— მამა გიცხონდა... შენ შენი თავი მოატყუე.

— კი, ღმერთმანი.

— რას თაღლითობ, შე ოხერო.

— გეფიცები პატიოსნებას.

— ბიჭო, მე ჩემი თვალით ვნახე, რომ ბათუმის მატარებელს გაჰყვა.

— ვინ გაჰყვა?..

— ვინ და ქვორუმი.

გრიშა გადაბრუნდა სიცილით და ელსმენში მხოლოდ რახრახილა ისმოდა.

აშკარათ მივხვდი, რომ კიდევ დაბნეული ვყოფილვარ. ალბათ ქვორუმი სხვა ვინმე უნდა იყოს.

მორიელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექანჯალებულის ლექსები.

I

არიმ ჯანი, არიმ ჯანი...
არ მაქვს ღონე, არ მაქვს ჯანი...
სუპს უხდება ბადრიჯანი
სოღოლ! ადერბეიჯანი!!!
თეთრი კბილი, შავი გული,
შავი, გული, თეთრი კბილი,
ჩვენ გვღალატობს, არ შურს ფული ..
ბაქოსაკენ მიაქვს ფქვილი...
საიდუმლო მსურს გაგანდოთ,
ფულები საპროპაგანდოთ
კუკ-კოლისსა დაახმარა.
(თუ ღმერთმა არ წაამწარა).
სოღოლ ყარდაშ! ნავარ ჯანუმ!
რა გსურს ადერბეიჯანო.!!
სჯობს მოთავსდე შენს ბაქოში,
ჩამოიცვი ფეხზე ქოში...
ჰყიდე ქიშმიშ, შაქარლამი..
შენ დაგლუპავს პანისლამი...
არ კმარა, რომ ხარ მაშადი?.!
სჭამე პური და ხან მჭადი.
ბათუმის ოლქიდან გადი,
თუ არ გინდა ღორის მწვადი!!

II

ძმებო და მეგობრებო!
ავაზაკ მეკობრებო,!.
სულ ყველას გეყედრები,
როდესაც მე მოვკვდები,
ნუ ჩამდებთ სამარეში,
შემდეთ პურის ფურნეში,
ვერ გავძეხ სიცოცხლეში,
დე, გაძღეს ჩემი ლეში...
ფურნეში მსურს საფლავი,
ოქვენ სჭამეთ ქიშმიშ-ფლავი!
ალაპზე დაჭალთ ღლავი,
დააჭამეთ ქლიავი,
პრასა და ნიახური,
გადაჭარით კახური,
რომ გახდეთ განახური,
შემწვარს მომჭერით ყური...
შენდობა შემითვალეთ,
ამას გთხოვთ გენაცვალეთ!:

III

ნანი-ნანა! ნანინა,
ნანი ნანა და ნანა!!!
ასკანა და აცანა!
კარბა მრგვალი, მოხრილი,
ფსკერი გამოქსოვილი,
(ვგონებ ცხენის ძუისგან...
ახლოს კი ვართ ჭკუისგან).
შიგ თუ ჩაყარეთ ფქვილი,
შეიქნება გაცრილი,
იგი მეპურეთაგან
დღეს არის განდევნილი,
ის დღეს არვის სჭირია,
სძულთ ვითარცა ჭირია,
ის გამოიცნობს ამას,
ვინც მისდევს პურის ჭამას,
ვისაც ბზე და ჩხირები,
ყელში გაეხირება.—
ფქვილის გაცრას დრო უნდა,
დრო ყოველთვის ფულია,
პურს წონას სძენს ქვა-გუნდა..
ეს ხერხი ხომ ბრძნულია...
კუჭიც გვიან ინელებს,
მოგვშივდება ჩვენც გვიან,
დღეს მე შევჭამ შინ,ლებს,
აბა, რა ვქნა, რომ მშიან.

IV.

აბა დელი, დელი, დელა...
ჩემს მუცელში როგორ ბნელა!
შიგ სეირნობს ვირთხა ნელა,—
აჩუ, ცხენო, ადონელა.!!
შევაყოლოთ ნელა-ნელა,
ჯერ შევიდეთ ქალაქ ხონში,
მერმე შევიაროთ ონში,
ტანს დავიბან მე რიონში,
ჩავჭენდეთ ქიმერიონში,
იქ ავავსო მსურს თასია,
ხომ იცი მწერალთა სია?!
საჭიროა სადღეგრძელო.
მინდა ყველა ვადღეგრძელო:
აი, ჩვენი მწერალთ სია!!
ჩემო ძმაო, მანასია!.,
შიგ ბევრია წიწილები,
გუშინ გამოჩეკილები!..
ვინ შეადგენს უკეთესად
მწერალთ სიას, მითხარ-ვინ-სად?
მწერლობის ცენზი ავანსად
ბევრს უბოძეს, უფეშქაშეს...
(პაოლ! ახპარ! ბურნუთ ქაშეს?!)
რა უყოთ, თუ ჯერ არ მღერენ.
სულ ერთია, ხვალ დასწერენ,
კარგი არის აქ ავანსი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გოგრაში დისონანსი.
სადღეგრძელოს როცა დავცლი,
იქ იქნება სადმე ვარცლი,
წამოვავლებ ხელს მას უცებ,
(მთვრალი ცოტას ვიტუტუცებ)
ქიმერთ მგოსნებს თავში ვსტკუცებ,
ვიწყებ შფოთვას, ღრიალს ავსტეხ,
ჭიქებს, თეფშებს, ბოთლებს გავსტეხ,—
წამოსვლისას, შემდეგ ბოლოს,
ექ პრომტს ვესვრი მე პაოლოს,
ჩამწერენ მწერალთ სიაში. .
მუზაზე ეკლესიაში
ჯვარს დავიწერ... ტაში, ტაში!
სახრე მინდა მოგცხოთ რქაში...
მომენატრა მე რძის ქაში,
და ჩაის სმა ბროლ-ჭიქაში!!

VI

ჩიხტი, კოპი, გობ-საცერი!..
დიპტი, პიტუმ... ჰერი, ჰერი!..
ავიჩეჩო უნდა მხრები,
მსურს დავრაზმო მათხოვრები.
მე ვარ იმათი სარდალი,
და უნდა გითხრათ მართალი,
კარგადაც უწინამძღოლებ,
ყველას შევკრებ, გავიყოლებ
და გაუშვერთ რისხვით ხელებს
გამვლელებს და გამომვლელებს,
გავებლანდებით ფეხებში,
ქუჩებში და ეზოებში,
არვის მივცემთ მოსვენებას,...
ჩვენ თავს მივცემთ იმდენ ნებას,
რომ წალეკოს თლად ტფილისი
ჩვენმა ტალღამ მონადენმა,
სენმა ჩვენგან შენაძენმა,
მოქალაქეთ მუსრი ავლოს...
იქნებ ამით ჭკვა ისწავლოს
ქალაქის მესვეურებმა,
რომ ისმინოს მათ ყურებმა,
და სადმე გზა მიგვიჩინოს,
პურით აქ ჩვენ ვინ გვარჩინოს?
რად გვაგდებენ რვენ აბუჩად,
ნურც ტყემლად და ნურც ალუჩად.
ტფილისს დავლუპავთ ჩვენ მათხოვრები
ათასგვარ სენათ რო შევეყრებით,

შექანჯალებული.

გურული სცენა.

თავარ ანგელოზმა მოსპოს მისი სახელი, ვინცხამ აი პარტიები მოიგონა! გაგონილა კაცო ამდენი პარტიები? სულ დამებნა დავთარი, რომელი რომელს ჯობია, რომელს რა უნდა, ველარ გევიგე, ყველა გაკეთებას და აშენებას მპირდება. მეც ვიფიქრე ერთხანს და ბოლოს მენშევიკებთან ჩავეწერე.

— ყოველ შაბათობით კრებაზე ნასიარულევი ფეხები გამიმეჭრა, ეს კიდევ არაფელი: აი საწევრო გადასახადიო, აი შესაწევიო, აი ესავო, იგი ისავო, შენ პარტიის წევრი ხარ, გადასახადი პირველათ უნდა შეიტანოვო, თუ კრებას დააკლტი, ეს პარტიის ღალატიავო... ბიჭოს, ვიფიქრე, ეს რა ხათაბალას გადავეკიდე თქვა—ავიღე და ქე გამოვეწერე უკან. გამეეწერე კი მარა ვინ დამაყენა! გევიხედე მომადგა კარებზე ყურის მეზობელი ვარლამაი და გინდა თუ არა ჩემს პარტიაში შემოდიო. ჩვენი პარტია არის ბაშენიკების პარტიავო, თუ გინდა ძველი ნაკოლოზის დროი არ დაგიბრუნდეს ჩვენთან უნდა იყოვო.

— ხარჯები რამე ხომ არ მომინდება მეთქი, ვკითხე.

— რას ამბობ, პირიქით, ჯამაგირი გექნებაო.

— ქე მეშინოდა პაწაი, მარა ვიფიქრე ბაშენიკობა რომ უფრო დახოდიანი პარტია არ იყოს, ჩვენი რაფიელა ხუცესი ისე რავა მიეკარება თქვა. დამიდგა თვალი და ქე ჩავეწერე მეც.

— ერთ დღეს მოგვივიდა ცნობა ამა და ამა ადგილზე მოიყაროთ თავიო. მივედით, გამოგვინცხადეს: ამაღამ ლანჩხუთი უნდა ვიღოთ და ვინც არ წამოვა დავიჭირავთო. დაგვირიგენ თოფები. გავყევი მეც. მივედით კიდეც. ვიფიქრე: მართლა ისე რავა გადირევიან რომ სასროლათ გაგვიმეტონ თქვა, მარა იმისანა შენ მტერს, რაც გოგიას იქინეი დღე დაადგა. ხოშკაკალსავით მოგვაყარეს ტყვია. გიყვარდეს, მოვკურცხლე. სახლში რომ მივედი, მერე გაახსენდა თოფი სად დავკარგე თქვა, მარა შენს მტერს არ გაახსენდი იმაზე უფრო მე ის არ მახსოვდა. მეორე დღეს მომადგა კარებზე ყარამანა მილიციონერი: თემში გიბარებენო. რა ჯანი მქონდა გავყევი.

— შენ ლანჩხუთის დაცემაში მონაწილეობა მიგიღიავო, მითხრენ იქ, შემიყენეს პროტოკოლი და გამაგზავნეს ლანჩხუთში. ლანჩხუთიდგან, ოზურგეთში; ოზურგეთიდგან ქუთაისში; ქუთაისიდგან თბილისში; შენს მოწონებულ ალექსიას კაი ოთხი თვეი მაყურყუტებიეს ციხეში. ახლა კი შეკირუჯე თმაი, რომ არც ერთ პარტიას არ გევეკარო ხლა რაღა დროის არის.

ახლობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი.

სისუფთავე, რომელიც ქალაქ ქუთაისში არსებობს სამართლიანად აკვირვებს ყველა მნახველს.

და ეს განსაცვიფრებელი სისუფთავე პირველ-ყოვლისა უნდა მიეწეროს აი ამ დამსახურებულ სანიტართა რაზმს.



როდესაც თქვენ აი ამ პატარა სურათზე დაინახავთ ქუთაისელი მილიციონერის სიფხიზლეს და სიჩაუქეს, მაშინ რა თქმა უნდა აღარ გეუცხოებათ ის სამაგალითო წესრიგი, რომელიც ამ ქალაქში სუფევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მოხელეთა ცხოვრებაც ისეთივე ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, როგორც სხვა ყველაფერი ქუთაისის ცხოირებისა. აი როგორ ჯაფაში იყვნენ მათი მსახურები წინათ.

და აი, როგორ თავისუფლათ ცხოვრობენ ახლა.

მთავარი სახელოსნოები.

განცხადებათა დაფაზე:

პირველი განცხადება. ორშაბათს დეპოს და მთავარ სახელოსნოების გამგეობის წევრი ილიკო მანჯგალაძე გავიდა გამგეობის ბინიდან სხვა და სხვა დავალებების შესასრულებლათ და დღემდის არ დაბრუნებულა. ვაგონის მრეცხავ ქალების სიტყვთ ის მემანქანეთა ბრიგადებს გაუტაცნიათ კონტრაბანდათ აზერბეიჯანში.

გატაცებულის ნიშნებია: შავი დაგრეხილი ულვაშები, ორი ყური მარცხენა მხარეზე; ტანთ აცვია შავი მაუდის პალტო და წელზე ჰკიდია შვიდი ნუმრის „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი. მნახველს ვთხოვთ რევოლვერი დაგვიბრუნოს, ხოლო მანჯგალაძე კი დაიტოვეს.

მესამე განცხადება. სამჭედლო, სახარატო, ამწყობი, ვაგონის და სადურგლო ცეხების მუშების ერთი ჯგუფი ამზადებს სახაზინო მასალისაგან მეტად ხელმისაწდომ ფასებში და საუკეთესო თვისებისას: სახნისებს, თოხებს, ბარებს, წერაქვებს „ზაჟიგალკებს", ტაბურეტკებს და ბევრ სხვა ამგარ ნივთებს. მუშაობა სწარმოებს დილის $6^1/_2$ საათიდან 3 საათამდე. მსურველთ უნდა მიმართონ დაკვეთისათვის საამისოთ გახსნილ საგანგებო ბიუროში დეზერტირის ბაზარში ბ-ნ უნამუსიანცს.

ცეც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზის ფურცელი

(სახუმარო განყოფილება „ეშმაკის მათრახისა.“ კერძოდ რკინის გზის მთავარ მოხელეთა გასართობათ.)

მოწინავე.

რკინის გზა სამშობლოს მთავარი ძარღვია,
და თუ ის ვილაცა რეგვენმა არღვია,
არ გვმართებს ჩვენ მისი კვლავ წარჩინებანი
რომ უფრო მოზრდილი არ მისცეს ვნებანი.
მას არგებს მათრახის კუდითა ხიცინი...
არ ვხუმრობ, ღმერთმანი... ამა რას იცინი?
მე წამალს იმათთვის უკეთესს ვერ ვპოებ
და მისი მორთმევის უფლებას ვიტოვებ.

მეისრე.

კასასთან.

(ყურმოკრული ამბავი)

მოლარე. სად აგზავნი ამ ტომრით ფქვილს?

ვაჭარი. გომში, ან სურამში, ბატონო.

მოლარე. როგორ?.. თუ გომში გინდა, გომის ბილეთი უნდა აიღო და თუ სურამში,—სურამის.

ვაჭარი. მე, ბატონო, ხაშურში მიწევს ცხოვრობა, მაგრამ...

მოლარე. მაგრამ რა? თუ ხაშურში სცხოვრობ, ხაშურის ბილეთი აიღე.

ვაჭარი. არა შენი ჭირიმე... იქ ბიკენტი კანდელაკისა მეშინია. უმჯობესია სურამში გაიგზავნეთ და იქიდან ხაშურში ზურგით ჩამოვიტანო.

მოლარე. შე კაი კაცო, ზურგით რატომ უნდა ათრიო...

ვაჭარი. დაკარგვას ასე აჯობებს, შენი ჭირიმე...

საცერი

ფოთი.

რადგანაც ეკუა
ეშმაკის ქვისლია,
„მათრახის“ რედაქტორს
ამბავი მისვლია:
„ფოთისა სადგურში მოლარე კასისო
ეკუა, ჩამდენი სიავის ასისო,
მთავრობამ პოსტიდან გადააყენაო,
რომ სხვაგან განეგრძო ცოდვათა დენაო.
მაგრამ ის, რაღაცა მანქანაებითო,
კვლავ დარჩა კასაში ვილაცას ნებითო,
და შვიდ მარტს იდროვა ტარიფის ცვლითაო...
არ ვიცით ეს ცოდვა რეთია თვლითაო.

ლოკოკინა.

ამით ვაცხადებთ **ადერგეიჯანისა** და **სომხეთის** რესპუბლიკების საეურადღებოთ, რომ ჩვენ ვუიდით

ტელეგრაფისა და ტელეფონის აპარატებს

თითქმის მუქთად. იჩქარეთ!

საქართველოს რკინის გზათა ადმინისტრაციის საბჭო.

უცნაური შემთხვევა.

საქართველოს რკინის გზის მთავარ რწმუნებულს ვიქტორ ჩაჩიბაიას, რომელსაც დავალებული აქვს ბაქოდან ჩვენი რკინის გზის საჭიროებათათვის მაზუთის მოწოდება, ბაქოში რამოდენიმე ცისტერნი დაჰკარგვია და მის ნაცვლად განსაკუთრებულ მატარებელს ბრინჯიანი საქონლის ვაგონები გამობმია.

ვაგონების დაკარგვა რკინის გზებზე ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ჯერ არავის მოსწრია შემთხვევა, რომ დაკარგულის ალაგას სხვა და ისიც ბრინჯით დატვირთული ვაგონები შამოეპარებიოთ.

ამ შემომპარებელის აღმოსაჩენად რკინის გზის მთავრობამ სასტიკი გამოძიება დანიშნა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი გაზეთის მეორე ნომერში მისი ვინაობა გამორკვეულ[illegible]ნება.

„რკინის გზის ფურცლის“ რედაქციისაგან.

ბ-ნებო! ჩვენი პატარა გაზეთი მოწოდებულია შეძლებისა და გვარად ემსახუროს კერძოთ რკინის გზას. ყოველივე ცნობა ამ პატარა ორგანოსათვის განსაკუთრებით უნდა იქნეს შემოწმებული სარედაქციო კოლეგიის მიერ.

ვინაიდან ჩვენი რკინის გზა გაცილებით უფრო გრძელია ამ პატარა გაზეთზე, ამიტომ ცხადია აქ ყველაფრის მოთავსება შეუძლებელი იქნება. ამიტომ განსაკუთრებით უნდა ახსოვდეს ჩვენს თანამშრომლებს შოთას თქმულება: „გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის...“

ამ ნომრისათვის წარმოდგენილი წერილი რკინის გზის საავთომყოფოს „ზედამხედველისა და სესტრიცების“ შესახებ გადაეცა საგანგებო კომისიას შესამოწმებლათ.

[illegible]ტორი ვ. ყვერთხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმბოლისტური ურემი.

„...და ოფელიამ თვალი მოავლო
ვალერიანმა ჰამლეტს გაარტყა.“

ტიციან ტაბიძე

„აქში, აქში, შე სატურევ, ჰაუ, ჰაუ!
პოეზიას უნისკარტებს ეს კოლაუ!“

პენტა.

პროლოგი.

ხშირად ითვება ეს თფილისი ჭრელი ყაისით,
როცა ჩაყლაპავს მას საღამო ეფემერული,
ცხელ ვიტრინებში ყალბ ფალცეტით ჰყეფს ქუთაისი
და ლეკურს უვლის იმერეთის ფერ-უმარული.
ლექსთა ღელვაში აცურდება კაფე „დარბაზი“,
ნაორთქლ მინაში დაიკივლებს პაოლოს ცხვირი,
სუფრას დაამტვრევს ვინმე ლოთი და ყომარბაზი
და გადმოცვივა მახათები და წინდის ჩხირით.
და სახე სახეს თან გაჰყვება ვით წეროები,
მათხოვარივით მოიხრება შორს ჰორიზონტი
დარბაზს გამოგვის ბლუ ენათა კენწეროები
და ყველას შთანთქავს მრუში ღამის შავი მამონტი.

უალდის პორფილე—
ტიციან ტაბიძე,
ღმერთივით წამჯდარა
ურმისა ტაბიკზე,
მეფური ტყლაშუნით.
მირეკავს ურჩ ხარებს
და გიჟი ხუცესი
მის ცხვირ წინ ხარხარებს...
შიგ უზის გრიგოლი
კუზიან აქლემით
„ბანდიტი“ პაოლო
ნამ-ვრალევი თვლებით,
ჰამლეტის მახლობლად
სდგას დინჯათ ვალერია*)
ლაწვები უელავს.
ვით ვაშლი „კალვერი,“
მათ გვერდსა უმშვენებს
მოახლე მხედრები,
აპრილის ბოლოკი
და ღვინით ვედრები.
კრებულსა თან მისდევს
ფერხულით ჭინკები,
ჰაერსა მისერავს
ნალძობი ჭლიკები...
უეცრად ურემზე
ჩდება აშორდია,
ყველას იპატიჟებს
„ბოში აშ მორთია!“
მოქნილი ენითა—
სიტყვების მარმაშით
მთელ კრებულს იტაცებს
ნარდისა თამაშით.
გამოჰკრა ცულლუტმა
ნაწყობი შაშები,
და ყველას ასწაპნა,
რაც ჰქონდათ გროშები.
აღელდა მხედრები,
შეიქ-ნა ჩოჩქოლი,
გაჩაღდა გინება
და კრივი ჩამქოლი..
კოლაუმ ასკარას
მხნედ გაუტიალა,
პაოლომ შესძახა:
„ბიჭებო იალა!“
ვალერიმ ბეც ჰამლეტს
ამოკრა პანლური,
ყვირის აშორდია:
„ო, ჯიმა დოვლური!“
ჯირითით ტრიალებს
მრისხანე მუშტები,
ფეხზე სდგას არლეკინ,
პიერო კუშტები.
დაფეთდა ხარები,
კუდ-მოწვით გაიქცა,
ღვინო ლოთ ვედრებით
უწყალოდ დაიქცა.
გაგიჟდა ურემი,
სიმწრით აპრიალდა,
და მისი ხიზნები
ძირს გადმოხრიალდა...
მიგორავს მხედრები,
იმტვრევა ცხვირები
და თავში ესობათ
ოკნების ჩხირები..
ტიციანს დაცემით
კუსუბო ეტკინა
გაჰკივის ტირილით:
„რამ გამაკრეტინა!“

პოდბიპენტა.

*) ბოდიშს ვიხდი ვალერიან გაფრიდაშვილის წინაშე, რომ მისი სახელი ლექსის ზომამ ასე დამიმოკლა.

სასკოლო ქრონიკა.

ტფილისის ქალაქის სასკოლო საბჭომ გახსნა უმუშევარ ინტელიგენტთა დამხმარე კოოპერატივი სახელწოდებით: „მასწავლებლობის ცენზი“. კოოპერატივში წევრებათ ჩაწერა შეუძლიათ უმთავრესად სტუდენტებს, განურჩევლად სქესისა. კოოპერატივიდან „ცენზის“ მიღება შეუძლია წევრებს თავ თავიანთ რაიონში არსებულ ერთ-ერთ ქალაქის სკოლიდან—სულზე თითო „ცენზი“. X

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა.



მოწაფე ქალი. ეხლა ჩვენი ბედი საუკუნოთ დაკავშირებულია და შენ ვალდებული ხარ, გამიმხილო რას აპირებ გიმნაზიის გათავების შემდეგ: საითკენ გრძნობ უფრო მოწოდებას, რომელ ფაკულტეტს აირჩევ?

მოწაფე ვაჟ. ჩემი გზა, გვრიტიკო, აშკარაა და დასამალავი არა მაქვს რა: თუ ჩემს გიმნაზიის დამთავრებამდე ჩვენს უნივერსიტეტში სპეკულაციის ფაკულტეტი გაიხსნა, ხომ კარგი: ამ ფაკულტეტზე შევალ, მაგრამ სტუდენტათ კი არა, პროფესორათ... ამისთვის საკმაო სტაჟი და მომზადება მაქვს კიდეც... ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ იძულებული ვიქნები ისევ საკუთარის კომბინაციებით იოლად წავიდე... (**მღერის „ნარიმანის“ ხმაზე**) შენ ვერ იცნობ ამბაკოსა...

შენ ვერ იცნობ ამბაკოსა...
გავაცოცებ თამბაქოსა—
ან ერევანს, ან ბაქოსა—
შენ ვერ იცნობ ამბაკოსა!

მოწაფე ქალი. რა ჭკვიანი ხარ!.. მიყვარხარ!...

წყალი შეაკავა

ეშმაკო, მინდა გიამბო
ჩვენი ღრმა ღელის ამბავი,
მმართებს გაუწყო ყოველი
რაც კი რამ ხდება აქ ავი.
წყალი შეიპყრო სასმელი
ვეშაპმა მძლემან, ძლიერმან.
მსხვერპლად მოგვთხოვა ქალწული...
რა მივცეთ ხელ ცარიელმან?!
შევპირდით, მხოლოდ არა გვყავს
მზეთ უნახავი არსება.
გასტანჯავს კაცსა დრო ჟამი
საკმე რომ გაითარსება.
ახლა ახალად გვიპირობს
კვლავ შეკავებას წყალისა,
მწყურვლებში ვრჩებით თუ რომა
არ გვსურს გადახდა ვალისა.
ასი თუმანი გვჭირია
უფროსის ანგარიშითა
უნდა მოვბოჭოთ, რა გზა გვაქვს
უწყლოდ დარჩენის შიშითა.
კოპერატივის შინაგანს
შემდეგ მოგითხრობ წვრილადა,
აქ, როგორც ვატყობ, მცხოვრებნი
გარდაქცეულან ძილადა.
მხოლოდ ყაჩაღთა თარეშმა
ძალიან ფეხი აიდგა:
ძარცვამ, დაცემამ, მკვლელობამ
ფესვები მაგრა გაიდგა
ალაჰის ძეტი არვინ გყვავს
მომხმარებელი, დამცველი.
მიტომ თარეშობს თამამად
კაცის მკვლელი და მძარცველი.
მათრახი არგებს, მე ვიცი,
ჩვენსა ფორმალურ მფარველებს,
თუ დიდი საქმით ბრუვდება,
მოხვდება—გამოანელებს.

ან. განჯისკარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ყველასფერს ქე მოველოდი ქვიყანაზე, მარა მე თუ ნიკოლოზის მინისტრის ოდენა ჯამაგირი მექნებოდა და შიმშილით მაინც მოვკვდებოდი ეი რავა მეგონა! შიმშილს თქვენ დაეთხუეთ, ბატონებო, ერთი ფუთი ღომი რომ შემაყაროთ, მიწაზე ერთი კეკალი არ დავარდება ისე მაქვს ტანზე ყველაფერი შემოფლეთილი. სიცივისაგან შეწუხებულმა გამოვნახე ერთი ძველი ნაპალტოვარი, წუუსიე მეზობელი ქალები ნემსებით, მაგრატლებით და უთოებით; აბრუნეს წალმა, უკუღმა, მაზმანეს, მატრიალეს აქეთ იქით ჯარასავით, გამოიყვანეს რაღაცა უცნაური, ერთი ციდის სიგძე; ჩამაცვეს ტანზე და მითხრეს: ინგლისური მოდაო. აწი, ბატონებო, ისე მაქვს ტანზე შემოჭირებული რომ ფეხებს ძლივლა მივადგამ. კანცელარიაში სკამზე ჯდომას ვერ ვახერხებ. ამხანაგები ხშირად მეუბნებიან: ამხანაგო პალტო გაიხადე თვარა გარეთ გახვალ და გაციოდებიო. ისე უზდელი არა ვარ, მეც ვიცი რომ კანცელარიაში პალტოს გახთა უნდა, მარა რას იქ, ჩემდა საბედნიეროდ არც კანცელარიაა ისეთი გამთფარი რომ გარეთურმა სიცივემ მაწყინოს, რადგანაც უფროსების ოთახებს მეტი გათფობა ესაჭივრება.

მართალი უნდა გითხრათ, სამსახურიდან სახლში მისვლა მეძნელება. ბაღნები კი მომკრავენ თვალს თუ არა გადმოცვინდებიან ეზოდან, დამიწყებენ ქიჩვას: ბაბა რა მომიტანე და რა მომიტანეო. რა გამატანეთ შვილო, რას მოგიტანდით მეთქინ, ვეუბნები მეც.

კვირა დღეს რომ ბაზარში გაბძანდეთ მნახავთ სავაჭროების წინ მეც და ჩემთან სხვა აყუდებულ მოსამსახურებს. ზოგს ძველი ტუჟურკა და ზოგს ცოლის ბეჭედი გამოუტანია გასაყიდათ. ძველი ვაჭრები დაცინვის კილოთი გვეუბნებიან: რაგიჭირთ თქვენც გასპეკულიანტებულხართო. კარგი სპეკულიანტები კი ვართ, არ დაგვიტოვებია სახლში არაფერი, ყველაფერი დავყიდეთ. სამი თვის წინეთ დეიწყეს გაზეთებში წერა ორმოცი პროცენტით ჯამაგირების გადიდების შესახებ, სატარიფო პალატის რწმუნებულიც ჩამოვიდა ბაზარზე სანოვაგის ფასების გასაგებათ, არ მინახავს თვარა შევიყვანდი მაჭარაძის დუქანში, სამი დღის ხარჩოს ვაჭუმდი და ნახავდა რას გადახდევინებდენ. მოვალებმა ეს მომატება რომ გაიგეს, თავი წამოყვეს და ვალების გადიდება ორმოცი პროცენტით მომთხოვეს. ეხლა სამოცი პროცენტის შესახებ სწერენ, მარა ბატონებო მთავრობა რომ ჩვენს უმწეო მდგომარეობას მიაქცევდეს ყურადღებას და გადიდება ჯამაგირებისა ჩუმათ მოხთებოდეს, ჩემი აზრით უფრო კარგი იქნებოდა.

ალ. ალჭარავა.

ეკონომიური ბრძოლა სომხეთის ფრონტზე

(სადახლო.)

აქ ნამდვილი ომია, ყოველ საღამოს ხდება შეტაკება ადგილობრივ სანაპირო ჯარსა და კონტრაბანდისტთა შორის. ხშირად, როცა ბრძოლა მწვავდება, საქმეში საბაჟოს რეგულიარული ჯარიც ერევა.

ასეთ შემთხვევებში კონტრაბანდისტთა ჯარები უკიდურეს ზომებს მიმართავენ ხოლმე: თავის სასროლ იარაღებს ათ და ხუთ-თუმანი ბონებით ტენავენ. ეს ვერაგული საშუალება ცნობილი ქიმიკოსის, ქრთამიანცის, ახალი გამოგონებაა. ქალალდის ფული უფრო მძიმე და მჭრელი გამომდგარა ვიდრე ტყვიის პატრონები. თვალებს თუ არ ავიხოვთ უნდა ითქვას, რომ მოწინააღმდეგენი ცოტათი მაინც აღწევენ თავის მიზანს. აქ უმთავრესად როლს თამაშობს სტრატეგია და არა სიმრავლე მტერისა. მტრის გამოსვლა ხდება განსაკუთრებით მესამე ზარის შემდეგ.

ნადავლათ შეიძლება ჩაითვალოს: სხვა და სხვა ჯურის და ხარისხის ფართლეულობა:
თუთუნი ჩვენებური გინდა ტრაპიზონის;
სხვა და სხვა გვარი კოკლოზინა ტკბილეულობა.
ცოდვა მიეცეს ინგლისელებს ნეიტრალზონის
კარაქი გინდა, ერბო, კვერცხი, გინდა შაქარი,
რასაც ინატრებს კაცის გული ყველა აქ არი.
ფარდაგი, ნოხი, ხურჯინები, ან ლეკის შალი
რა გვარიც გინდა აქ აწყვია ას-ასი ცალი.
ლიმონი გინდა მანდარინი, ფუთობით თხილი,
უბედურ ჩვენსა საბაჟოსა ჩასცვივდა კბილი.
ქალალდს იკითხავთ გინდა საწერს გინდა თამბაქოს,
უცხო ქვეყნისას, თფილისის, გინდა ბაქოსს.
საპონი თუ გსურთ სარეცხისა ტომრობით ფქვილი;
სომხების აზრით: ,,ადგილია აქ ერთობ თბილი!...

ერთს მშვენიერ დილას საბაჟოს საწყობებს ცეცხლი გაუჩნდა. გაჩდა ერთი მითქმა-მოთქმა, ტელეგრამა, ტელეფონი, სარევიზიო კომისია და გამოძიება. არა, ის იზამდა!-არა, ის კი არა ის იზამდა. მეც ვერევი ბაასში: არც ის იზამდა და არც ის, არც პეტრუშკა და არც ვახუშტა!-გულზე ვსკდები... რავა ვერ მიხვდენ ვისი ნაქნარია; მინდა ვუთხრა... მაგრამ... რომ სიცილი დამაყარონ, ან მე მტაცონ ხელი... ვთქვა? არ ვთქვა?...

ვისი ნაქნარია... ბატონებო და „თაგვის"-ვირთაგვის!

ხა... ხა-ხა-ხა!.. რას იცინით ბატონებო დიახ ვირთაგვა არის დამნაშავე! აი ვინ არის დასაჭერი.

შეიძლება აქ მეორე მოსაზრებაც: შეიძლება ვინმემ ეგება სახელის უკვდავება მოინდომა ჰერასტრატესავით და დაწვა საქართველოს საბაჟო. მაგრამ ვინაობას რატომ არ აცხადებს ამდენხანს? მე საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ დასაჭერია არა „უდანაშაულო მსხვერპლნი" არამედ საბაჟოს ვირთხები, რომლებმაც; „ციხე შიგნიდგან გასტეხეს".

ოქრუას ბიჭი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. წევა.

წეველი „შევარდნები“

სამსონ-კასიან შეიბნენ,
ამაზედ ჰქონდათ მსჯელობა:
რომელი უფრო წმინდაა,
რომელს შეჰშვენის მღვდელობა!..
სამსონ-ა უთხრა:—შე გლახავ,
ვინ არის შენი ტოლია?
შენისთანები დიაკვნათ
თექვსმეტი მაინც მყოლია!
თუ კიდევ გაგიბედნია
ჩემთან, შენ, ლაპარაკიო,
მაშინვე გაგხდი მაგ კაბას...
შემდეგ ჩაიცვი ფრაკიო!
კასიანემ უპასუხა:
ვის უბედავ მაგას შენო,
ხომ არ გინდა ყველაფერი
მამა ნაზარს მოვახსენო!?.
ვის აბრალი, შენ, ქურდობას,
ვის უძახი არა კაცსა?!..
თუ შვილები ცოცხალი მყავს
ამომყრიან შენზე ჯავრსა!...
მიიწიეს დასარტყმელათ
დაიმკლავეს მარდათ ხელი,
მაგრამ უცებ შუა ჩასდგა
იქ მოწამე, სიმონ მღვდელი...

. . . . . .

რა ხალხია, სთქვი მკითხველო,
ან ღირსია იყვნენ მღვდლები,
რომ ერთმანეთს ყოველ დილას
ეცემიან, როგორც მგლები?
მე ამას ვეხოვ ბატონ ეშმაკს,
ჯოჯოხეთის მოციქულსა,
შემისრულოს ეს ვედრება
ნუ დამაკლებს ვასზე გულსა.
მართალია, მისი შოლტი
მხოლოდ ხვდება ქვეყნის მტრებსა,
მაგრამ მე გთხოვ ეგ მათრახ
გადუჭიროთ წეველ მღვდლებსა,
რომ სკოლის წინ, და არც სხვაგან
არ მართავდენ აწ მუშტს კრულსა,
თორემ კიდევ მოვახსენებ
ჯოჯოხეთის მოციქულსა...

მელა-კუდა.

რუქა მიწის მვრისაგან დაზარალებულ სოფლებისა ქალაქ გორის გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ცნობა გორის რაიონში მიწის მვრისგან მიყენებულ ზარალისა.

სახელები თემებისა და სოფლებისა	საერთო რიცხვი მოსახლეობისა	რიცხვი დაზარალებულ მოსახლეობისა	რამდენი კაცი მოკვდა	მძიმეთ რამდენი დაშავდა	მსუბუქად რამდენი დაშავდა	ოვალ რამდენი გახდა
I. ახალქალაქის თემი.						
1. ახალქალაქი	550	73	—	—	—	1
2. პაშიანი	20	7	1	—	—	—
3. კაპრაშიანთ კარი	13	11	—	—	—	—
4. ზემო ხანდაკი	225	203	5	5	2	18
5. ხოვლე	460	454	2	1	6	40
6. მეტეხი	325	301	—	1	—	15
7. ბარნაბიანთ კარი	63	53	—	—	—	4
8. სოსრეთი	120	110	3	2	1	7
9. ყარაღაჯი	270	234	2	—	2	38
10. დოესი	320	289	6	2	4	35
11. გრაკალი	63	63	—	—	—	—
12. ქვახრელი	300	179	4	—	2	1
13. ახალსოფელი	10	—	—	—	—	—
14. გოში	180	7	—	—	—	—
15. ერთაწმინდა	151	10	—	—	—	—
16. ჩოჩეთი	75	6	—	—	—	—
17. ნიაბი	65	7	—	—	—	—
18. ახალციხე	117	5	—	—	—	—
სულ ახალქ. თემში	3327	2012	23	11	17	156
II. ატენის თემი.						
19. ხიდისთავი	227	210	30	8	12	9
20. ოხერა	110	106	16	5	6	9
21. ჯეგირი	16	16	—	—	—	—
22. გარდატენი	50	50	—	—	—	—
23. ატენა	200	178	1	—	1	3
24. ცედისი	14	14	—	—	1	1
25. ბნავისი	58	58	—	—	—	3
26. ღვარები	70	68	—	—	1	9
27. ზ. ქსოვრისი	25	23	—	—	—	—
28. დიდი გორისჯვარი	30	30	1	—	—	—
29. პატარა გორისჯვარი	14	14	—	—	—	1
30. გორა	10	10	4	—	—	2
31. ვანიანთუბანი	31	31	—	—	—	—
32. დრე	28	5	—	—	—	—
33. ცხნეგი	15	3	—	—	—	—
34. ავკეთი	20	4	—	—	—	—
35. მონასტერი	9	9	—	—	—	—
სულ ატენის თემში	927	831	52	13	21	37
III. ქარელის თემი.						
36. სკარა	121	121	5	2	41	2
37. ქვ. ფლევი	26	13	—	2	1	4
38. ცხელი წყარო	14	2	—	—	—	—
39. კოშკები	24	24	—	—	—	1
40. ბეთლემი	40	[illegible]	[illegible]	—	1	—
41. ზემო ხვედურეთი	160	48	—	—	—	1
42. ქარელი	361	132	—	—	4	4
43. ღვლევი	43	40	—	—	—	—
44. ქვ. ხვედურეთი	93	54	—	—	—	4
სულ ქარელის თემში	882	450	5	4	10	16
IV. რუისის თემი.						
45. რუისი	550	524	1	—	2	25
46. ბებნისი	54	30	—	—	—	2
47. ოთარაშენი	13	13	—	—	—	—
48. ტი ის ხიდი	62	62	9	—	3	2
49. თედო წმინდა	11	11	—	—	—	3
50. ურბნისი	160	158	1	—	—	2
51. სასირეთი	40	15	—	—	—	—
სულ რუისის თემში	890	813	11	—	5	35
V. ხელთუბანის თემი.						
52. უფლის-ციხე	145	113	15	2	—	7
53. თორტიზა	85	85	—	—	—	—
54. დიდი გარეჯვარი	60	60	—	—	2	5
55. პატარა გარეჯვარი	115	115	3	—	—	9
56. კარალეთი	340	955	—	—	—	3
57. ზემო რეხი	15	15	—	—	—	—
58. ქვემო რეხი	27	27	—	—	—	—
59. ბერბუკი	35	35	—	1	2	1
60. ხელთუბანი	167	149	—	—	1	11
61. სვანეთი	140	137	1	5	2	1
62. შაშვეთი	30	30	—	—	—	2
63. ახალსოფელი	84	72	—	—	—	5
64. ნაურეთი	26	13	—	—	—	—
65. პატარა ხურვალეთი	15	8	—	—	—	—
66. ზემო სობისი	25	20	—	—	—	—
67. ქვემო სობისი	65	65	—	—	—	—
68. ზედგულეთი	93	92	—	—	—	—
69. ნადარბაზევი	80	40	—	—	—	—
სულ თემში	1546	1336	19	8	7	44
VI. მეჯვრისხევის თემი.						
70. მეჯვრისხევი	560	105	1	—	—	4
71. ბერშუეთი	171	91	—	—	—	3
72. ახრისი	77	?	—	—	—	—
73. ზერთი	227	?	—	—	—	—
74. კიტრეული	56	?	—	—	—	—
75. კირბალო	91	?	—	—	—	—
სულ თემში	1182	198		—		7
სულ 15 სოფელში	8754	5638	111	36	60	298
VII. გორი	1336	1317	19	26	49	192

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშები.

ს. ბუკისციხე. ადგილობრივ სამკითხველოდან გაზეთები ჩვეულებრივად განაგრძობენ დეზერტირობას. გამგეობამ გადასწყვიტა თითოული გაზეთისათვის შეიძინოს ორფუთიანი ჯაჭვები მაგიდაზე მისაბამათ. შიშობენ გაზეთებმა მაგიდა თან არ გაიტაცოს.

ჯიმა კოჩი.

ჩოხატაური. ჯვარცხმა-გუთურის კოოპერატივის სარევიზიო კომისიის კრებაზე 28 თებერვალს გარდაიცვალა გამგეობის წევრი ბ. ჯიქია. განსვენებულმა კოოპერატივს უანდერძა გამოხრული კასა.

ბაბუა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! თქვენი ჟურნალის №-9ში ვინმე „უხილავს“ მე, ამ სტრიქონების ავტორი, ყბად აუღივარ და ოხუნჯობის საგნად გავუხდივარ. ოხუნჯობის საწინააღმდეგო მე არა მაქვს რა. კარგი ოხუნჯობა ძლიერაც მიყვარს, მაგრამ ოხუნჯობასაც უნდა ჰქონდეს თავისი მიზანი და გამართლება. უმორჩილესად ვსთხოვ ბ. უხილავს, კეთილ ინებოს და გამაგებინოს, რა ჩამიდენია საიმისო, რომ სასაცილოდ ავუღივარ?

ნ. თუხარელი.

ქიმერიონში.

სპეკულანტი. ეს ლმერთმა ადღეგრძელოს ქართველი მწერლები: იმათთანა ერთგული მეგობარი ჩვენ სხვა არა გვყავს... აბა, ციცუნი, ძირამდი უნდა დასცალო!...

ქალი. არ მინდა, არა! მე არ მიყვარს მწერლები... მოსაწყენი ხალხია, ქეიფის არა გაეგებათ რა... სულ მუდამ რაღაცას ჰფიქრობენ და იბერებიან!.. რათ უნდა დავლიოთ მათი სადღეგრძელო?

სპეკულანტი. რათაო, მკითხავ? იმათ, რომ ჩვენთვის ზრუნავენ... ასეთი კარგი რესტორანი გაგვიჩაღეს, თითონ კი, იაფ ფასიან სასადილოებშიაც ძლივს დადიან... აბა სადა აქვთ აქ შემოსასვლელი ფული?...

ხელმწიფო სტაბა.